



## სსკგ-ის თავმჯდომარემ იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ინტრონიზაციის წლისთავი მიულოცა



მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქ თეოფანე III-ს მისალოცი წერილი გაუგზავნა ინტრონიზაციის წლისთავთან დაკავშირებით. მილოცვაში ნათქვამია:

თქვენო უნეტარესობავ!

მოწინებით გიძღვნიტ გულითად მილოცვას უწმინდესი იერუსალიმის ეკლესიის უძველეს კათედრაზე თქვენი აღსაყდრების წლისთავთან დაკავშირებით.

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ღვთის განგებულებით თქვენ გამოჩენილი იქენით უფლის ძმის, მოციქულ იაკობის მემკვიდრედ და მას შემდეგ **სიყვარულითა და სულითა მშვიდობისათა** (1 კორ. 4:21) განამტკიცებთ წმინდა მინის თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოს მაცხოვრებელ სახარებისეულ გზაზე.

თქვენ ცნობილი ხართ მორწმუნე მომლოცველებისთვის, რომლებიც პალესტინაში ჩამოდიან, მათ შორის მოსკოვის საპატრიარქოს ფარგლებიდანაც, როგორც მწყემსი კეთილი, რომელიც მზადაა, სული თვისი დასდოს ქრისტეს სამწყსოს მეტყველ ცხოვართათვის (შდრ. ინ. 10:11) და უდიდესი ქრისტიანული სინმინდების დაცვისათვის.

ლოცვით ვუსურვებ თქვენს უნეტარესობას მშვიდობას, მტკიცე ჯანმრთელობას და უფლის მოუკლებელ წყალობას რთულ საპატრიარქო მსახურებაში.

პატივისცემით და უფლისმიერი სიყვარულით

**მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე**

**ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი**

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88481/>